



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080112556702819

№ 2969

09 / ივლისი / 2019 წ.

შპს „არტიფექსის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT180014998;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „არტიფექსი“ (ს/ნ: 406069613);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 26 ივნისს წარმოდგენილ იქნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 25 ივნისის № 3965-13 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №6876), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „არტიფექსის“ (ს/ნ: 406069613) მიერ NAT180014998 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 7 ნოემბრის № 105 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ შპს „არტიფექსის“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის artifexi@yahoo.com მეშვეობით, 2019 წლის 26 ივნისის № 2436 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2018 წლის 7 ნოემბრის № 105 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 19 თებერვლამდე, უნდა შეესრულებინა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭივჭავში საბავშვო ბაღის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 174 888,61 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 1 აგვისტო. მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წლის 21 ივნისის №1043 ბრძანებით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 7 ნოემბრის №105 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 18 სექტემბერს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა NAT180014998 ელექტრონული ტენდერი საბავშვო ბაღების მშენებლობის (CPV45214100) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 1 ნოემბრის №46/2 სხდომის ოქმით შპს „არტიფექსი“ (ს/ნ: 406069613) გამოვლინდა გამარჯვებულად და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2018 წლის 7 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმდა № 105 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 19 თებერვლამდე, უნდა შეესრულებინა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიჭვავში საბავშვო ბაღის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 174 888,61 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 1 ივნისი.

4.4. მხარეთა შორის გაფორმებული №4 ურთიერთშეთანხმებით № 105 ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაიზარდა 2019 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით.

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 16 ნოემბრის №7484-13, 27 ნოემბრის №7670-13 და 20 დეკემბრის №8083-13 წერილებიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელი სამუშაოებს არ ასრულებდა. ამდენად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოითხოვა სამუშაოების დაწყება.

4.6. 2019 წლის 22 თებერვლის №1249-13 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ 2019 წლის 19 თებერვალს ამოიწურა სამუშაოების შესრულების ვადა, თუმცა მას სამუშაოები არ დაუსრულებია, რის გამოც, მას ეკისრებოდა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით. ამასთან, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოითხოვა სამუშაოების დასრულება.

4.7. მიმწოდებელმა შეასრულა 41 912,88 ლარის ღირებულების სამუშაოები (სრული მოცულობის 24%), რაც დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული 2019 წლის 6 მარტის შუალედური მიღება-ჩაბარების აქტით.

4.8. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 26 მარტის № 2031-13 და 21 მაისის № 3116-13 წერილებიდან ირკვევა, რომ ობიექტზე სამუშაოები არ მიმდინარეობდა.

4.9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წლის 21 ივნისის №1043 ბრძანებით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 7 ნოემბრის №105 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეკერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „არტიფექსი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე აღრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეკერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2018 წლის 7 ნოემბრის № 105 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა

მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „არტიფექსი“ (ს/ნ: 406069613) 2019 წლის 17 მაისსა და 5 ივლისს დარეგისტრირდა შავ სიაში NAT180011718 და NAT180016241 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის შავ სიაში მანამდე არსებული რეგისტრაციის ფაქტების გათვალისწინებით, შპს „არტიფექსი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „არტიფექსი“ (ს/ნ: 406069613) 2019 წლის 10 ივლისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეჯიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ლევან რაზმაძე